ცნობის ფურცელი

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ამერიკული საბჭოს
საინფორმაციო რვეული

№6. ნიუ იორკი ნოემბერი, 1954წ.

ბეჭვდითი სიტყვა და მისი უფლებანი.

ჩვენმა მკითხველებმა იციან, რომ განსვენებული ევგ. გეგეჭკორის გარდაცვალების ამბავს „ცნობის ფურცელი“-ც (№5) გამოეხმაურა, რასაკვირველია, შეძლებისდაგვარად და თავდაბლად. მიუხედავად უბრალოებისა, „ცნობის ფურცლის“ უკანასკნელმა რვეულმა ბევრი თანამემამულისაგან ქება მიიღო, განსაკუთრებით ევროპიდან. ვამბობთ სიტყვას - „უბრალოება“-ს, რადგან გარეგნული, ტექნიკური მხარე მისი არის უბრალო, გამოწვეული სახსრების სიმცირის გამო. ჩვენი მკითხველების გრძნობებზე განსაკუთრებით უმოქმედნია „ცნობის ფურცელში“ მოთავსებულ სამი ავტორის წერილებს განსვენებულ ევგენ გეგეჭკორზე და როგორც მათს პირადს წერილებიდან ვხედავთ - ქებაც დაუმსახურებიათ.

მაგრამ... ჩვენი გაზეთის მომდევნო გვერდებზე მოთავსებულია ორი სახუმარო-შთამაგონებელი კაწია წერილიც, რომელთაც აგრეთვე ცხოველი გამოხმაურება ჰპოვეს. განსაკუთრებით გულდასმით წაუკითხავთ ერთი ამ ორთაგანი : „ენის ქავილის ამბავი ანუ ქაცვია მწყემსის მოთქმა“. სახუმარო წერილს ხელს აწერს ანონიმური ავტორი „ქაცვია მწყემსი“-ს ფსევდონიმით. ავტორი ბასრი სიტყვებითა და მახვილი გამოთქმებით ამათრახებს ზოგიერთ ქართველ ემიგრანტს, რომელთაც თავისთავის ქებითა და გაზვიადებული ტრაბახით სხვებს გული შეუღონეს, როგორც იტყვიან: „ყურები დააჭამეს“. არსად, არც ერთს გამოთქმასა და ცალკეულ

წინადადებაში ავტორს სალანძღავი და სათრევი სიტყვა არ მოეძიება, არამედ, როგორც ვთქვით, მთელი წერილი მცხუნვარე, ჩამახველებელი იერით არის დაწერილი და მკითხველს ღიმილთან ერთად უნებლიედ ჩააფიქრებს, უნებლიედ ათქმევინებს: ნეტავი ვის გულისხმობს ავტორი თავის გამამათრახებელ გამოთქმებში! აქ თითქოს არაჩვეულებრივი არაფერია და ამიტომ ამ წერილმაც ბევრისგან ქება მიიღო, ბევრმა მოიწადინა კიდეც გაეგო ვინ იმალება ჟურნალიზმში ფართოდ გავრცელებულ და დაკანონებულ ანონიმური ავტორის ფსევდონიმს იქით. წერილებითა და სიტყვიერად ბევრმა მოიწონა ასეთი მათრახების ტკაცუნი თავგასული და უპასუხისმგებლო ელემენტების ჭკუაზე მოსაყვანად და თავისი ადგილის მისაჩნევად!

მიუხედავად ამისა, როგორც მოსალოდნელი იყო, წერილს უარმყოფელნიც გამოუჩნდნენ, რომელნიც ორ უმთავრეს ჯგუფად დანაწილდნენ: ერთი ჯგუფის „უარმყოფელნი“ მაღალფარდოვანი და ნაძალადევი „ჭკუამახვილობით“ აიმრიზნენ და საზოგადოებაში მეტად ადამართად და უწყინარ ხალხს უმტკიცებენ, რომ ასეთი რამ არ შეეფერება ბეჭდვითი სიტყვის ორგანოს, ჩირქს სცხებს საზოგადოებას, იწვევს ერთმანეთს შორის შუღლიანობას და სხვა. მ[illegible] ჯგუფის „უარმყოფელნი“ გაცილებით უფრო აგრესიულნი და თა[illegible]

XXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXX

ჭრელნი აღმოჩნდნენ! უი, თურმე ნუ იტყვით, ამ ჯგუფის „უარმყოფელებს", ან უკეთ რომ ვთქვათ იმ ხალხს, რომელთაც ქაცვია მწყემსის ხუმრობა უარყვეს, - თურმე თავისი თავი დაუნახავთ ქაცვიან მიწოდებულ სარკეში და საშინლად აღშფოთებულან! საშინლად აღშფოთებულან, ნაცვლად იმისა, რომ სარკეში შემჩნეული მური ჩუმად მოეწმინდა და გაჩუმებულიყო! ზოგმა მართლაც ასე ჩაიდინა: ხმა არ ამოუღია, ამოიღო სახოცი და მურიანი სახის წმენდა დაიწყო. ასეთს პიროვნებებს პატივისცემის მეტი სხვა არაფერი ეკუთვნის ჩვენგან! მათ, საკმაო მოქალაქეობრივ შეგნებასთან ერთად ჰქონიათ თავმოყვარეობაც, რომელიც ადამიანს ნამდვილ ადამიანად ხდის! ისტერიული კივილის ნაცვლად მდუმარება არჩია! მაგრამ... გამოჩნდნენ არა მცირენი, რომელთაც სარკეში თავიანთი შემურული თავი იცნეს და იმავე წამსვე იწყეს ძახილი: „მე ვარ, მე ვარ ეს! მიდით ნახეთ, აი მე ვჩანვარ სარკეში"-ო. ასეთი კატეგორიის ხალხს, რასაკვირველია არც მოქალაქეობრივი შეგნება და არც თავმოყვარეობა საკმარისად არ ჰქონიათ. თითქოს „ქაცვია მწყემსის მოთქმა" მეხი ყოფილიყოს, თითქოს ატომის ბომბი, ქვემეხი ყოფილიყოს - ისე გავარდა საზოგადოების ერთ ნაწილში და სწორედ ამით დამტკიცდა კიდეც საზოგადოების ამ ნაწილის წვრილმანობა, სიპატარავე, სიდამპლე! განა ამ სახის წერილები, უფრო მკვეთრი და მახვილი არასოდეს არსად დაწერილა? განა შემოქმედების ეს ფორმა, სახე ბეჭდვით სიტყვას, პრესას, ჟურნალისტიკას, საერთოდ მწერლობას არ ახასიათებდა ან არ ახასიათებს ეხლაც?! ვინც ეს არ იცის და არ ესმის მას მათრახები კიდევ მოხვდება, შეიძლება ჩვენგან არა, მაგრამ სხვათაგან, სხვა დროს!

„ქაცვიას" გადატყლაშუნებული მათრახით ვანცმწვარმა პირებმა იწყეს ავტორის ძებნა, რათა იგი „გაეტყეპათ". ამიტომ საზოგადოებაში მუქარის ხმები გაუშვეს: რედაქტორსაც და იმის კოლეგებსაც მაგრად გავბერტყავთ, თუ მომავალში ასეთი „რამეების" წერაზე ხელი არ აიღესო! ამ ვაჟბატონებს ავიწყდებათ, რომ ყოველი რედაქტორი და მწერალი მზად არის ყოველგვარი თავდასხმის მოლოდინში. ვინც უსამართლობას ებრძვის და მის წინააღმდეგ მახვილი აქვს აღებული, იგი არც საფრთხეს გაურბის და შეტევისა და კონტრშეტევისათვის ფხიზელი და მზადყოფია! ერთმა პატივცემულმა თანამემამულემ ვრცელი წერილი მისწერა ჩვენი გაზეთის სარედაქციო კოლეგიის ერთ ხელმძღვანელ წევრთაგანს, რომელშიც იგი ამბობს, რომ ზემოხსენებული სახუმარო წერილი „ ლახავს ყოველ საზღვარს კეთილშობილ დათმობისა"-ს; ამ წერილს უწოდებს „ანონიმურ ცილისწამებას", რო-

მერიც თურმე „საბოლოოდ გამოიწვევს და ხელს შეუწყობს ქართველთა შორის დავა-დაქსაქსვას“; რომ თითქოს „ავტორი ამ წერილისა გამოთქვამს ბოროტულ ცილისწამებას, რათა მიაღწიოს ადვილად გამოსაცნობ მიზანს“; და შემდეგ თვითონვე ასკვნის: „ მსგავსად რომ არ იყოს, რადგან ავტორი მალავს თავის ვინაობას და პირდაპირ და გულახდილად არ მოიხსენიებს ე.წ. „ვინც“-ებსო! და სხ. და სხ.

ხანდახან რომ აუცილებელია ადამიანმა თავისი გვარი არ მოიხსენიოს, ან მეორემ მესამის გვარის დაუსახელებლად აღნიშნოს რაიმე საგულისხმო და შთამაგონებელი ფაქტი, მტკიცდება ამავე სტრიქონებით: ჩვენ იძულებული ვართ ზემოხსენებული წერილის ავტორი, რომლის რამოდენიმე გამოთქმა აქვე მოვიყვანეთ,- არ დავასახელოთ. ეს არ არის საჭირო. თუ საჭიროება მოითხოვს და თვითვე მოისურვებს, რა თქმა უნდა, სურვილს წამსვე შევუსრულებთ! ნიუ იორკელები,-მხედველობაში მაქვს ნიუ იორკის ქართველები,- ხშირად კითხულობენ რუსულ გაზეთს „ნოვოე რუსკოე სლოვო“-ს, თუ ყველა არა, ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი მაინც. ამ გაზეთში ნიჭიერ ჟურნალისტურ წერილებს აქვეყნებს ვინმე „არგუსი“. ეს არის ფსევდონიმი და მისი ნამდვილი გვარი არა

გვგონია რომელიმე ქართველმა იცოდეს. არგუსი თავის ნიჭიერ სახუმარო ფელეტონებში თითქმის არასოდეს არ ასახელებს თავისი მსხვერპლის გვარს და სახელს, არამედ უამისოდ ამათრახებს ყველა ხორცმეტსა და მავნე პიროვნებას. ბევრი ამ „მსხვერპლთაგანი“ ალბათ თავის თავს იცნობს ხოლმე არგუსის ნაწერში, მაგრამ ჯერ არ ყოფილა შემთხვევა ეს პატარა ტანის, სიმპატიური კაცი ვინმეს გაელახა, ვინმეს „გაებერტყა“. თუმცა არის ბევრი სხვა შემთხვევა, როდესაც ავტორი მსხვერპლი ხდება შავი და ჩლუნგი ადამიანებისა, შეუგნებელი და დამთხვეული პიროვნებებისა. მაგრამ, როგორც ზემოთ ვთქვით, ამისათვის ყოველი მწერალი მზად უნდა იყოს!

ზედმეტი არ იქნება გავიხსენოთ იგავ-არაკების ჟანრიც. მეიგავე და არაკების მთქმელი არასოდეს გვარებს არ ასახელებს იმათსას, ვისაც საიგავოდ არიან გამხდარნი! იგავ-არაკების ჟანრი საქართველოში უკვე მერვე საუკუნიდანაა ცნობილი ლიტერატურულ ძეგლებში და ეს ჟანრი ყოველთვის დიდი პატივისცემით სარგებლობდა. არა მარტო პატივისცემით სარგებლობდა, არამედ მისი გამოყენება აუცილებელი საჭირო იყო ფეოდალური წესწყობილების დროს. მონარქიულ წესწყობილებას არა ერთი და ორი მრისხანე მეფე ახსოვს, რომელსაც ნაკლზე პირდაპირ და გულახდილად ვერავინ მიუთითებდა. ამიტომ, არა იშვიათად მრისხანე მეფეს იგავით აგრძნობინებდნენ საკუთარ ნაკლს. გადაიკითხეთ კიდევ ერთხელ საბა-სულხან ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“, მისი იგავ-არაკთა კრებული, აგრეთვე ვახტანგის თარგმნილი „ქილილა და დამანა“, და თქვენ დარწმუნდებით რა მნიშვნელობა ქონდა იგავს, თქვენ ნახავთ , რომ მეიგავე ამათრახებს უმორალო და ხორცმეტ ადამიანებს გვარისა და სახელის დაუსახელებლად. წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელია საზოგადოებრივი აზრის დაცვა წმინდად, საზოგადოების გაწმენდა ნალექი ტიპებისაგან, რომლებიც ხელს უშლიან წინსვლას, საზოგადოებრივი ცხოვრების ნამდვილ განვითარებას! სიმართლის თქმა ნალექ ტიპებს ძალიან სწყინთ, მაგრამ სიმართლის მაძიებელთ კი ეს ვერ შეაფერხებს. თუ შეაფერხებს და შეაშინებს, მაშინ მათ ხელი უნდა ჰ აიღონ საზოგადოებრივ მოღვაწეობაზეც. წარსულშიც ისევე იბრძოდნენ სიმართლისა და სამართლიანობისათვის, როგორც ეხლა. ადამიანის ბუნება არ გამოცვლილა, მისი ცხოვრების დონე და კულტურული ყოფა შეიცვალა, თორემ სულიერი თვისებები ადამიანს ისევ აქვს, რაც გაჩენის ხანს მისცა ღმერთმა. იცის სიყვარული, იცის მტრობა. იცის შეწყალება, ხელის გამართვა, შუღლი, შური და სხვა. ასევე ადამიანს ახასიათებდა სამართლისაკენ ლტოლვა, სამართლიანობის შექმნა და მისი დაცვა . ჩვენი უახლოესი წინაპრებიც ილტვოდ-

ნენ სამარტლიანობისაკენ და საუკეთესო მათი ნაწილი თავს არ ზოგავდა ქართული საზოგადოებრივი აზრის წმიდად შენახვისათვის ამიტომ, თუკი საზოგადოებაში უგვანი კორიფეები გამოჩნდებოდნენ, მას ხელს კი არ აფარებდნენ, კი არ უფრთხილდნენ, არამედ ხან გამკილავი ენით, ხან შეფარვით, ხანაც ახდილად მიუთითებდნენ თავიანთ უგვანობაზე. იწერებოდა სახუმარი ფელეტონები, სატირები, კომედიები, მახვილსიტყვაობით შეზავებული წერილები და მთელი რიგი ლიტერატურული თხზულებანიც. გავიხსენოთ ჩვენი სულმნათი აკაკი. იგი იყო ერთი უდიდესი მებრძოლთაგანი ლიტერატურის ფრონტზე, რომელიც მახვილი, სარკაზმით სავსე ენით მუსრს ავლებდა ქართული საზოგადოების ნალექ ტიპებს. აკაკი იყო არა მარტო ჩინებული მგოსანი, არამედ ჩინებული ფელეტონისტი, ჰუმორისტი. მან დაარსა კიდეც საგანგებო კრებული „ხუმარა"-ს სახელწოდებით. მისი ხუმრობისათვის იგი ციხეშიც ჩასვეს, მაგ-

რამ ხუმრობა მას არ შეუწყვეტია, თავისი მახვილის ქნევა არ შეუნელებია, რადგან იცოდა და სწამდა, რომ საზოგადოების განწმენდა და საზოგადოებრივი აზრის წმიდად დაცვა მხოლოდ ამით შეიძლებოდა, ყოველ შემთხვევაში – არა მარტო ტკბილი სიტყვებით და მაღალიდეური ნაწარმოებების მიწოდებით. აკაკი ხშირად გვარს არ ასახელებდა თავისი მსხვერპლისას, ხშირად კი, როცა ეს აუცილებელი იყო, არც ამას ერიდებოდა. აკაკის მიქნეული მათრახის შხუილი ეხლაც ისმის, აკაკის მათრახდაკრულთ, ვინც კიდევ ცოცხალია, ეხლაც ეწვით კანი, და ვინც აღარ არის, მათი შვილიშვილებიც კი იფხანენ კეფას!! აკაკის თავისი „მწარე“ ენისათვის ბევრი მტერი ყავდა, მაგრამ ამ მტერს იგი არასოდეს გაქცევია, არც მის შეშინებია, რადგან აკაკის ტკბილი ენაც ქონდა! ამ ტკბილ-მწარე ენას იგი სათანადოდ და თავის დროს ხმარობდა მშობლიური საზოგადოებრივი აზრის წარსამატებლად და არა თავისი გუნების დასაოხებლად. აკაკის სახუმარო ფელეტონებშიც ბევრმა იცნო თავი თავის დროს. შეიძლება ჩვენი კრიტიკოსები ამ ფელეტონების დაწვას მოითხოვენ?!

შეიძლება ბევრმა აღარ იცოდეს, რომ მეოცე საუკუნის დასაწყისში ქართულ პრესაში მოღვაწეობდა ნიჭიერი მწერალი სვიმონ ყიფიანი. იგი მოღვაწეობდა გაზეთ „ერში“, რომელსაც მეფის ხელისუფლება სასტიკად ებრძოდა და ამიტომ გაზეთი ხშირად იცვლიდა სახელწოდებას. მისი რედაქტორებიც ხშირად ისხდნენ ციხეებში. სვიმონ ყიფიანთან ერთად ამ გაზეთში მოღვაწეობდნენ ცნობილი პირნი: მიხ. წერეთელი, ივ. ჯავახიშვილი, მიხ. ჯავახიშვილი, ფილიპე გოგიჩაიშვილი, არ. ყიფშიძე და სხვანი. სვიმონ ყიფიანი ითვლებოდა ნიჭიერ ფელეტონისტად. მან ერთხელ რედაქციაში მიიტანა სრულიად ორიგინალური ახალი წამოწყება, რომელსაც „პორტრეტი“ ერქვა. ავტორი მხატვრულ ფორმებში ხატავდა ამა თუ იმ პიროვნებას, რომელიც საზოგადოებისათვის მავნე და მიუღებელი იყო. იგი არ ასახელებდა არც გვარს, არც სახელს ამ პირისას, მაგრამ შეუძლებელი იყო მკითხველს ამ პორტრეტში არ ეცნო იგი, ვიზედაც სინამდვილეში ეს თხზული იყო დაწერილი. ხოლო ის მკითხველი, რომელიც პირადად ვერ იცნობდა საპორტრეტო პიროვნებას, იგი უსათუოდ წაილაპარაკებდა: დიახ, ასეთი ტიპები ჩვენს საზოგადოებაში მართლაც არსებობენ! სვ. ყიფიანი ამ „პორტრეტებს“ აწერდა ფსევდონიმს – „ხეიბედს“. მასაც დახვდნენ რამოდენიმეჯერ გოლოვინის პროსპექტზე გასალახავად, მაგრამ იგი არასოდეს არ გაქცეულა; პირიქით, როცა ამბავს გიუტანდენ, რომ ესა და ეს კაცი ცემით გემუქრება, რადგან მან შენს მიერ დახატულ პორტრეტში თავისი თავი იცნოო, ყიფიანი განგებ ცდილობდა ამ „ტიპთან“ შეხვედრას. მას სწამდა და ესმოდა ასეთი ჟანრის დიდი მნიშვნელობა. მთელი ეს ამბავი ერთხელ მიამბო ჩვენმა მხცოვანმა საზოგადო და პოლიტიკურმა მოღვაწემ, პროფესორმა მიხეილ წერეთელმა, მთელი იმ ამბების თვალით მნახველმა, განმცდელმა და მონაწილემ.

გავიხსენოთ, თუ ინებავთ, დანიელ ჭონქაძეც. მან ერთად-ერთი მოთხრობა დასწერა – „სურამის ციხე", რომელსაც ბოლშევიკები დღეს საპროვოკაციოთ და საპროპაგანდოთ იყენებენ. ეს მოთხრობა დაწერილი იყო გასული საუკუნის ორმოცდაათიან წლებში და შეეხება, როგორც ყველამ იცის, ბატონყმურ ურთიერთობას. მის მიერ აღწერილი მოთხრობის გმირები ნამდვილად არსებულნი პიროვნებანი იყვნენ, მხოლოდ ავტორს შეცვლილი ჰქონდა მათი სახელ-გვარები. ამ მოთხრობისათვის ჭონქაძეს მოკვლაც დაუპირეს ზოგიერთებმა და მისი ვერის ხელიდან გადამდებაც აცადეს. სწორედ ამან შეუწყო ხელი მისი სახელის ზრდას. უამისოდ შეიძლება ისე შეუმჩნეველი დარჩენილიყო ქართულ ლიტერატურაში, რადგან მის მიერ მოთხრობილი ამბავი არაფერს საოცარს არ შეიცავდა: ბატონყმობის ხანაში კეთილი და გონიერი ფეოდალების გარდა იყვნენ ისეთი მხეცებიც, როგორიც ჭონქაძეს აქვს თავის მოთხრობაში აღწერილი. მან ხალხურ თქმულებას შემატა რამოდენიმე ნამდვილი ფაქტი და

XXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXX

.და ამით ამხილა ზოგიერთი თანამედროვე მებატონის თავგასულობა. ეს იყო ზოგიერთთა კრიტიკა, რაც აუცილებელია საზოგადოების განვითარებისა და მისი დემოკრატიულობისათვის. ეხლა ჭონქაძეს ბოლშევიკები თავისად სთვლიან, მაგრამ ბოლშევიკები აკაკისა, ილიასა და სხვებსაც ხომ თავისად აცხადებენ?! სინამდვილეში ჩვენ ვიცით სად არის მათი ადგილი და როგორია ეს ადგილი, მინიჭებული ქართველი ერის მიერ მათდამი!

ნურც ეგნატე ნინოშვილს დავივიწყებთ: მის მოთხრობათა გმირები ცხოვრების წიაღიდან არიან ამოღებულნი, ხოლო გვარ-სახელებით ცვალებულნი: დროიძე, ძალაძე, უიშვილი, ესენი ყველანი ეგნატეს თანამედროვენი იყვნენ. მკლავაძეებმა და დროიძეებმა ეგნატესაც დაუპირეს შეურაცყოფის მიყენება, მაგრამ მას მშველელად ყავდა მცირიშვილები, აგრეთვე ნამდვილი ცხოვრების გმირნი!

ქართულ ზეპირსიტყვაობაში შენახულია მრავალი თქმულება, ლეგენდა, ზღაპარი, შაირი, რომელნიც ამხელენ ხალხში არსებულ მავნე და უგვან ჭირებს. მესტვირე სარკაზმითა და მახვილი შაირით დაუზოგავად ამათრახებს უგვანოთ, ხოლო აქებს და ადიდებს სახელოვანთ. ხალხურ ლექსებში შექებულია მებრძოლი ვაჟკაცი, მოყვარე და უშურველი ადამიანი, ხოლო ნაძაგები და შერცხვენილია უკეთურნი, ლაჩარნი და დამთხვეულნი! ხალხური ანდაზები წარმოადგენენ ამოუწურავ ზღვას, შთაგონებით აღსავსეს. მაგალითები ბევრი გვაქვს, მაგრამ ყველას დასახელება შორს წაგვიყვანს.

მაშ რა მოხდა ისეთი, რომელმაც ასე გააგულისა ზოგიერთი ჩვენი მკითხველი? ის რომ სარკეში ჩაახედა „ქაცვია მწყემსმა"?! ის რომ თავისი თავი იცნეს ამ სარკეში? ავტორი არ ასახელებს არავის გვარსა და სახელს, მაგრამ, თუ საჭირო იქნება სხვა დროს და სხვა გარემოებაში, სხვა თხზულებაში არც ამას მოერიდება ვინმე.როდესაც ავტორმა თავისი სახუმარო წერილი რედაქციაში წარმოადგინა, ჩვენ მას ხუმრობით უთხარით: მათრახები შენც მოგიხვედრებია შენივე თავისათვის! მან ღიმილით აღიარა, რომ ეს ასეა. ამით კი მან გვაგრძნობინა, რომ მისი ქალარა ფელეტონის მიზანი იყო საზოგადო დახასიათება ემიგრაციაში მცხოვრებ ზოგიერთ ქართველთა და არა გალანძღვა მათი. მისი ფელეტონის „გმირები" იყვნენ, არიან და იქნებიან, როგორც სინამდვილეში ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე. ამერიკა თავისუფალი ქვეყანაა. მისი პრესა თავისუფალია, შეუზღუდავი და უბორკილო. ჩვენმა მოწინააღმდეგეებმა სასამართლოში რომ მისცენ ჩვენი გაზეთი, მაინც არაფერი გამოუვათ. ამერიკელები ჯერ გაიცინებენ და მერე კი გაუკვირდებათ: ნუთუ ქართველთა შორის მეტი შეგნება, მეტი გაგება არ არსებობს? გაიხსენეთ საარჩევნო კამპანია ამერიკელთა, რა სიტყვებითა და გამოთქმებით

უმასპინძლდებიან ერთმანეთს,ხშირად გვარის დაუსახელებლადაც-კი. ხშირად პრეზიდენტსაც კი გადაჰკრავენ ხოლმე მწვავედ. ჩვენ თანამემამულეების ერთი ნაწილი.კი..არაფერს:პადრულობს.მანკიცხვის ნაცვლად მოითხოვენ გუნდრუკის კმევასა და ლოცვა-კურთხევას!აკაკი რომ ციხეში ჩასვეს მისი ხუმრობისათვის,ეს იმიტომ,რომ მან მათრახი გადაჰკრა მეფის ხელისუფლებას.მეფის ხელისუფლება კი დიქტატორული და უხეში იყო. ჩვენ თავისუფალ ამერიკაში ვცხოვრობთ ამას ნუ ივიწყებენ ჩვენი გაკიცხულები! „უსირცხვილოს თუ არ არცხვენ,ბაძით მორცხვიც გაურცხვდებისო“-ო,სთქვა დავით გურამიშვილმა. ვერც ჩვენ უღალატებთ ამ ჭეშმარიტებას! ეს ჭეშმარიტება მამაპაპითგან გვაქვს ნაანდერძევი და იგივეა თავისუფალი ბეჭდვითი სიტყვის ანა-ბანაც! ჩვენი მკითხველები ამ რვეულში იპოვნიან ახალ სახუმარო ფელეტონს და თუ ამ ფელეტონში გამოყვანილი „გმირები“ სინამდვილეში არ არსებობენ,მაშინ გვისაყვედურონ!!

გ. კ-ძე.

საგულისხმოდ.

(არჩევნების გამო)

ამბობენ: მეცხვარის ძაღლებს,
როცა მოუვათ ჩხუბიო,
ვერ გააზავებთ ვერაფრით,
გინდა აძგერით შუბიო!

ღრენენ და ჰყეფენ!.. ხორხოზში,
აღარ აქვსთ ყურთა სმენაო!
ვეღარც არჩევენ ერთმანეთს,
კბენა!.. კბენა და კბენაო!..

მაგრამ მეცხვარე,რომ ხედავს,
არ არის სხვა საშველიო,
გარგებ იძახის: „ჰკა მაგას!
სსსი! სსსი! მოვიდა მგელიო!“

ეს ხმა აფხიზლებს მოჩხუბრებს,
თავდება ყოლიფერიო!
და ერთად ჰყეფენ,გარემე
რომ მოიგერონ მგელიო.

ეს რომ უამბეს მგოსანსაც,
სიხარბე შემოეპარა,
და ქართველთ სავედრებელად
ლოცვა დასწერა პატარა:

„რადგანაც ქართველობაზე
ჩვენში დღეს ყველა სტყუაო,
ღმერთო მიეცი ქართველ-კაცს
ძალის გრძნობა და ჭკუაო.“

აკაკი.

შენიშვნა:- ვბეჭდავთ ჩვენი სასიქადულო მგოსან აკაკის ამ მართლაც მეტად საგულისხმო ლექსს,რომელიც დღევანდელ ჩვენს მდგომარეობას ემიგრაციაში,საუკეთესოდ და შთამაგონებლად უდგება. ლექსი დაწერილია არჩევნების გამო. დაბეჭდილია აკაკის თვიურ ორგანო „კრებულში“,წელიწადი მეორე,№1. იანვარი,1859.დამბაშიძის სტამბაში,ქალაქ ქუთაისს. გვ.1-2.

რედაქტორი.

საიდუმლო სერობა

(კალარა ფედელინი)

„აგრე მტრისა არ მეშინის, რადგან
ცხადად მაწყინარობს.
მოყვარესა მტერსა უფრთხი, მემოყვრება,
მიცინარობს“.

ეს ამბავი მარსზე მოხდა, ჩვენი პლანეტიდან ცილათი დაშორებით, ქართულ თემში. ერთ მაგარ კალრიილის ოჯახში, საიდუმლო სერობა იყო გამართული. ბულუხვ სუფრას ათიოდე მაგარი კალრიილი შემოსხდო-

XXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXX

- ბატონებო, ჩვენი თავის მოყრის მიზეზი ხომ ყველამ იცით?- მიმართა მასპინძელმა სტუმრებს.

- კი, კი რომ ვიცით,- მისცეს პასუხი.

- ძალიან კარგი. როგორც ხედავთ ჩვენი თემის ერთ ჯგუფს გადაუწყვეტია თემის კეთილმოწყობა, გზების გაყვანა, არხების გაჭრა, სკოლისა და საავადმყოფოს გამართვა, საზოგადო საკრებულო სახლის აშენება, კულტურული და გასართობი საღამოების მოწყობა, საქართველოს დიდი ისტორიული თარიღებისა და დიდი ადამიანების ხსოვნათა შესაფერისად აღნიშვნა, ჩვენებურ დღესასწაულებში წირვების გამართვა საზოგადო საკრებულოში, რომ საქრისტიანოს დიდებულ დღეს, აღდგომას ქართველმა-ქართველს „ქრისტე აღსდგა" უთხრას და წრფელი გრძნობით გადაკოცნოს...

- ვერ ეღირსებიან მაგ დღეს მაგის მომფიქრებლები!..წამოიძახეს აქეთ-იქიდან წვეულებმა.

- რასაკვირველია ვერა! ეს საკუთრივ ჩვენ ვერც მატერიალურად მოგვცემს ვერაფერს და ვერც სახელს შეგვძენს. რაში გვესაჭიროება თემის კეთილმოწყობა, აღზრდის წიგნა, ძმური კავშირი ქართველებში? აქ იმიტომ შევყარეთ, რომ მისთანა ოინი უყოთ მაგათ მომფიქრებლებს, თავის დღეში ვერ მიაღწიონ სურვილს, ესე იგი თემის კეთილმოწყობას. ჩაუწყოთ კარტში ისე, რომ „ბაქარა"-ს ყოველ დარიგების დროს, ჩვენთვის „ცხრა" გამოვიდეს, იმათგან „ბითური"... ხა,ხა,ხა,ხა,

- ხი,ხი,ხი,ხი,- ეგ ძაან არ მოგიფიქრებია?-დაემოწმენ სიცილით მაგარი კატრიოლები.

- მამასახლისო, დასწერე ეხლავე ფირმანი, დაურიგე გზირებს და გააფრთხილე მოსახლეობა, რომ მომავალ წლიდან მამასახლისობას აღარ აპირებ!- მიმართა მასპინძელმა იქვე მის გვერდში მჯდომ თემის მამასახლისს.

- მაგას არ გავაკეთებ, მამასახლისობა ძალიან მინდა!- წამოიძახა შემკრთალმა მამასახლისმა და უცბად ფერი დაეკარგა.

- ჩვენც გვინდა შენი მამასახლისობა, უჩვენოდ რა იქნებოდი. მაგრამ ეს ფირმანი ოინის გასაკეთებლად გვჭირდება, მაგარი ოინის. დასწერე ეხლავე, რასაც გეტყვი..

- უნდა გააკეთო!-ცოტა არ იყოს ბრძანების კილოთი უთხრა მამასახლისს ერთმა ჯუჯა კაცმა,-ვიცით რომ გინდა მამასახლისობა, ჩვენც გვინდა ეს, ნუ გეშინია..

- თქვენი აქ ჩამოსვლის საათი დაიქცეს, გამოვეთხოვე ყველაფერს, საკუთარს.- წაიბუზღუნა მამასახლისმა და წერას შეუდგა.

- ოპოზიციას მისთანა კეთილი სურვილი დაბადებია, რომ საე-

ჭკუა მისი დამარცხება!- სთქვა ვიღაცამ გაუბედავად.

- კუსლიავია!- უპასუხა მასპინძელმა. ჯერ ერთი მახინაციებში ჩვენ გვაქვს უუუუდიდესი გამოცდილება. მეორეც, სამოთხის გასაღები, ესე იგი თემის ფინანსები ჩვენს ხელშია. ბევრია მისთანა, ერთი თუმანი რომ გადაუგდო უკუღმა შეჯდება ვირზე, ხოლო ორ თუმანს თუ გადუგდებ, სარწმუნოებასაც გამოიცვლის, ეროვნებასაც და სულ იძახებს: „ბუში ვარ"-ო. ბევრს სესხი აქვს წაღებული, დაბრუნებას არ აპირებს, არც შევაწუხებთ, მერჩეს ის ვალი, სამაგიეროდ მხარში ამოგვიდგება ბურჯივით. ზოგსაც არჩევნების წინ შევაძლევთ ახალ სესხს, მაგრამ ხელწერილს ჩამოვართმევთ, რომ ხმას ჩვენ მოგვცემს. რამდენია ისეთი, მხოლოდ სესხის მიღების ხათრით მიდის კრებაზე, ისიც არჩევნების დღეს, თორემ სხვა დროს, საქართველოს ჭირის თუ ლხინის აღსანიშნავ დღეებში, თოკით ვერ მოიყვან. ბატონო ფარნაოზ, თქვენ ასი თუმანი გმართებთ თემის, აგერ ათი წელია, ასი თუმანი კიდევ რომ მოგცეთ ჩვენთვის იყვირებთ?- უცბად შეეკითხა მასპინძელი მხარბეჭიან ფარნაოზს.

- თქვენ ასი თუმანი მომეცით და რაც გნებავთ იგი მაყვირეთ,- უპასუხა აღელვებით ფარნაოზმა.

- არ მითხარით? „დახე თუ ოქრო რასა იქს?“,-გადიხარხარა მასპინძელმა, ტაში შემოჰკრა და დაიძახა: „რიხრიხაძე“! დარბაზის შუაგულში ერთი ქაჩალი კაცი გამოვარდა და უჯიშო ულაყივით ახვიხვინდა.

- რას მიბრძანებთ, თქვენს სახელს გევენაცვლე?

- იგი ირემია ხომ?- მიუთითა მასპინძელმა ჭრელ კაცაზე.

- ირემი გახლავთ, თქვენი ჭირიმე, რაფერ გადიუწყვია რქები ზურგზე! ჩაიხვიხვინა რიხრიხაძემ.

- თუ უფრო კამეჩია?

- კამეჩია, ბატონო, არ ხედავთ რაფერ შავია?

- ჩემი აზრით სპილო უნდა იყოს!

- სპილოა, სპილო, ხორთუმზე ვერ ატყობთ?

- ჩემო კოლონიუს, აბა ერთი დაუკარე?!!

ქაჩალმა მხრები გაშალა და აყუნცულდა. „ცეკვა“ რომ გაათავა, ძაღლური მორჩილებით პატრონს შეაჩერდა და უსიტყვოდ შეეკითხა: „ხომ კარგად გაამე“-ო.

- რიხრიხაძე, ველს ვერ დაატრიალებ, თუ საჭირო იქნება?-ისევ კითხა მასპინძელმა.

- მამაჩემს გიუტეხ თავს თქვენი ხათრიზა, თუ მიბრძანებთ, ოღონდ კი თქვენთან შამყოფეთ, თქვენი ჭირიმე!

- ამისთანებით ოპოზიციას დავამარცხებთ კი არა, პატიოსნებას გავხვევთ სუდარაში. სინათლეს შევცვლით ბნელად. მაგრამ ამ კაცს მოვლა უნდა, რახან საკუთარი არაფერი აქვს, სხვასთან არ გაგვექცეს, ქამელეონია, გუშინწინ სხვა ყავდა პატრონად, სხვას უკვდებოდა ხელში. ამას გარდაც, ჩვენ შეგვიძლია მოვზიდოთ არჩევნების დღეს ისეთი ხალხი, რომლებმაც არც იციან საქართველო ქვეყნის რომელ კუთხეში დევს, მაგრამ მათ ბეწვის მეათასედი რაღაც მაინც აკავშირებს ქართველებთან. მაგალითად, მარუსია ვალკოვას ქმრის დედინაცვლის მამინაცვლის ძმისწული, ქართველ კაცზე ყოფილა გათხოვილი. მარუსია ხმას ჩვენ მოგვცემს. კლავდია ზაიცევას დედის ბიძისშვილის ცოლის ძმას, ქართველ კაცთან უსვამს თურმე ღვინო. კლავდია ჩვენია. ნასტენკა უსტინოვას მულის შვილის მულისშვილი თბილისელ სომეხზე ყოფილა გათხოვილი! ნასტენკა ჩვენია! ევდოკია მედვედევას პირველი ქმრის პირველი ცოლი ქართველი ქალი ყოფილა. ევდოკია ჩვენია. და ამისთანას ბარე სამოცს კიდევ სხვას მოუყრით თავს. ჩვენი დასაყრდენი ძალაა: ისინი, რომელთაც არასოდეს უწამებიათ საქართველოს თავისუფლება და რომანოვთა გვარის საფლავზე მოსთქვამენ, ესე იგი რუსი მონარქისტები. და ისინიც, რომლებიც ყოველ ათ სიტყვაში ცხრას ცხრას მაინც აგინებენ ღუთის. ჩვენ უნდა გავინაწილოთ როლები, ვინ ვისთან მივიდეს, ზოგი დაპირებით მოვიმხროთ, ზოგსაც დავაშინებთ, ხმას თუ არ მოგვცემთ საიდანაც მოსუ-

ხართ, იქ·გაგგზავნითთქო! არჩევნებიდან არჩევნებამდე არ უნდა დავიძინოთ, ისტერიულად უნდა ვიყვიროთ, საჭირო შემთხვევაში არც პროვოკაციას არ უნდა დავერიდოთ, საქმე შევამზადოთ და არჩევნების დღეს თხუნელებივით გავიცრუნოთ, დე მოპირდაპირე ბანაკმა იყვიროს, ყვირილით ვერაფერს დაგვაკლებენ, რახან ადრევე, გვექნება კარტში კარგად ჩაწყობილი. ეს გაუმარჯოს ამღამინდელ საიდუმლო სერობას, გაუმარჯოს ჩვენს ძმურ კავშირს. მე ვიცი, ძმური არაფერია ჩვენში, გინდა ჯიბეებს გავსინჯავ, თუ ყველა ჩვენთაგანს გალესილი დანა არ ექნება ჩადებული ერთი-მეორისათვის ყელის გამოსაჭრელად, მაგრამ ამ საკითხში, ესე იგი ვისაც თემის კეთილმოწყობა სურს, მათ წინააღმდეგ გაუყრელი ძმები ვართ, დუღაბივით შეკრული!..

მასპინძელმა სერობა ადღეგრძელა, ჭიქა დაცალა, ყანწი აავსო და გრძელი საპროგრამო სიტყვა წარმოსთქვა:

– მსხვილი ზედაქუნი გინდა დაიჭირო? წყალი უნდა აამღვრიო, კამკამა წყალში თევზს ვერავინ დაიჭერს! პიროვნებას და საზოგადო საქმეს ჩვენ გავზომავთ საკუთარი არშინით! ვთქვათ პეტრეს მიყვასი

XXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXX

უყვარს, თავს დასდებს მისთვის, პეტრეს სარმას გამოვლებთ და ისე დავცემთ. ძირს, რომ ვერასოდეს წამოდგეს. სამაგიეროდ სულიკოს გულში ჩავიკრავთ. უკადრისს კადრულობს? რა ჩვენი საქმეა. წყალს ხომ გვისხამს წისქვილის ღარში!

„- სხვისი სიკეთე ისე უნდა დავამციროთ, რომ ნემსის ყუნწში გასაძრომი გახდეს, საკუთარი სიკეთე, თუ კი ოდესმე გაგვიწევია, ისე უნდა გავბეროთ, მოედანზედაც არ გაეტიოს.

„- მოძმის ხუმრობით შემოკრულ წკიპურტს, კეტებით უნდა უპასუხოთ, გარეშესაგან მოქნეულ კეტს - ზურგი უნდა შეუშვიროთ, ამას ქვია მოხერხება!

„- იმ ძუნწს უნდა დავემსგავსოთ, კუტ ძმას საკუთარ ქონებიდანაც რომ არ აჭმევს ლუკმა მჭადს, მაგრამ მზაჯვარელინზე ხონჩით დგას და გარეშე ძლიერთ პურმარილს თავაზობს, რა არის სტუმართმოყვარე კაცის სახელი გაუვარდეს შორს!

„- სადაც კი ხვრელს დავინახავთ ყველგან უნდა შევძვრეთ, შევძვრეთ და გავძვრეთ. საფრთხე რაიმე მოგველანდება? მაშინვე გამოვძვრეთ და ახლა სხვაგან შევძვრეთ. ერთი სიტყვით: გაძრომ-გამოძრომაში პირველობა არავის არ უნდა დავუთმოთ. იმდენად უნდა დავეპატრონოთ თემის მმართველ სადავეებს, რომ თავის ჩამოხრჩობაშიც მეტი უფლება უნდა გვექნეს და დანარჩენ უფლებებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია...

- ჩვენ შეგვიძლია ხარაკირიც გავიკეთოთ, თუ საჭიროებამ მოიტანა!- შეაწყვეტინა ვიღაცამ.

- ეგეც შეიძლება, მაგრამ, პოლიციის წინ კი, ცალ ხელში უსტარი იქნება გამზადებული: „ ჩამოახრჩვეთ ოპოზიცია, რომელსაც თვითმკვლელობამდე მივყევართ", მეორე ხელში დანა და დავიცემთ მუცელში პოლიციის ინსპექტორის თვალწინ. ამით გავაბავთ მახეში ოპოზიციას!

„- რამდენია ჩვენს თემში ისეთი, რომ გრიშის სადირადისა არაფერი დაუხდენია, არც ჩვენთვის, არც სხვისთვის, ათვალწინებული გვყავს, დასაკლავად გამოვიმეტებთ, რატომ? იმიტომ, რომ ჩვენთან არ არის! და მაშასადამე ცუდი პატრიოტია! აგი ბიჭი ჩვენია,-დაადო მხარზე ხელი ერთ რახტიანს.- იცით ეს რა პატრიოტია? რა საშინელი საქმე ჩაიდინა, როგორ ახსენა თავისი მამული?! - ღიმილით შეეკითხა მასპინძელი თანამოსუფრეთ.

- არ ვიცით!

- მე გეტყვით. ამისი ჯარისკაცი რომ ჩასვა პოლიციამ ციხეში, იმ სულელმა, რაც ქონდა ათი წლის თავნაყარი ფული, ამას ჩააბარა. მეათე დღეს რომ გამოუშვეს ციხიდან, ამან მეათედი დაახვედრა. დანარჩენი სად არისო, იკივლა ჯარისკაცმა. „აქ გახლავთ"-ო, უპასუხა ამ გმირმა და მუცელზე დაიკრა ხელი. ამისთანა კაცს ჩვენ გვერდიდან არ მოვიშორებთ. მაგრამ ის ბრიყვი ლადუჩიი, აი ის, არეულობის დროს კარგა ბლომად ოქროს ·ფულები რომ ჩაუვარდა ხელში, გროში არ მოაკლო, უკლებლივ დაუბრუნა პატრონს და თვითონ სიცივით და შიმშილით კინაღამ გააცხო სული, აქ ვერ უნდა შემოვიდეს. ასეთი ბრიყვები, რომელნიც ხელსაყრელი მომენტით ვერ სარგებლობენ, ჩვენ არ გამოგვადგება!

„ - ახლა საზოგადო საქმე: სკოლა, საავადმყოფო, საკრებულო, აღდგომის წირვა, დიდი თარიღები, დიდი ადამიანები მოზების თვალსაზრისით უნდა გაიზომოს, ან მატერიალური სარგებლობა მოგვიტანოს, ან სახელი შეგვძინოს, ესე იგი ყველა ამაების ხარჯზე სადმე უნდა გამოჩნდე, სადმე უნდა ამოტივტივდე. სახელის შესაძენი ან ხელის მოსათბობი გამოვა რამე? გაგიხარიან, ჩვენ იმას მაშინვე დავაცხრებით თავზე, ვითარცა აფთარი. მაშინ ცათამდე ავიყვანთ ქებით, თემს ყურებს გამოუჭედავთ მათი·საჭიროებით. მაგრამ ინიციატივის როლში კი ჩვენ უნდა ვიყოთ. მანამდე კი კუს ჩანჩალით უნდა ვატაროთ საზოგადო საქმე. საქართველოს დიდი

ისტორიული თარიღების, დიდი ადამიანების ხსოვნის დღეებში, ჩვენ ათთორმეტ კაცზე მეტი არ უნდა გამოვიყვანოთ; არჩევნების დღეს კი, გამარჯვების უზრუნველსაყოფად, აკვნის ბავშვებიც არ უნდა დავტოვოთ შინ. დღეს ჩვენ დავამარცხებთ იმას, რომელიც თემის კეთილმოწყობას ეტრფის, ხვალ - თუ საჭიროებამ მოიტანა, ჩვენვე მოვკიდებთ ხელს იმას, რისთვისაც ოპოზიციას ჯვარზე ვაცვავთ! მაშინ დიდ ადამიანებსაც და დიდ თარიღებსაც მოვიგონებთ და არც რელიგიურ დღესასწაულებს დავივიწყებთ. სხვისი მამის ტირილში ჩვენ წავალთ მთელი შემადგენლობით, საკუთარი მამის ცხედრის გასატანად ოთხი კაციც იკმარებს. გაამახვილეთ ყურები, არ გამოგრჩეს გარეშეთა დღესასწაულები თუ პანაშვიდები!

„- ვთქვათ ოპოზიცია ჯიუტი გამოდგა, სკოლაც ააგო ეკლესიაც, გზებიც გაიყვანა. ჩვენ ბოიკოტს გამოვუცხადებთ, იმათ გაყვანილ გზებზე არ გავივლით, იმათ სკოლაში არ შევიყვანთ შვილებს, რუსის სკოლაში ვისწავლით, რუსის ეკლესიაში ვილოცებთ, რათა ჩვენი მოძმის სკოლაც დაიხუროს და ეკლესიაც. ერთი ენა უნდა გვექნეს, თუთიყუშივით უნდა დავიზეპიროთ ერთი და იგივე. ვისაც მე შევუტევ, თქვენც უნდა შეუტიოთ; ვისაც შევაფურთხებ, თქვენც უნდა შეაფურთხოთ. და ასე უნდა მოიქცნენ ისინიც, რომელთაც ძალით, ნებით თუ მოხერხებით ჩვენს ნებაზე დავატარებთ.

- მამასახლისო, - მიუბრუნდა მასპინძელი თემის უფროსს, შენ ქეიფი და მექცევა გიყვარს. ამას არცა მალავ, იძახი მე მისი ვარ, ვინც მაქეიფებს და დროს გამატარებინებსო. მაგ სურვილს ჩვენს გარდა სხვა არავინ აგისრულებს. მზად ვართ ყველაფრისათვის, გაქეიფებთ, მოგალხენთ, ოღონდ...ოღონდ ჩვენთან უნდა იყო!

- მე თქვენთან ვარ მარად და ყველგან! - წამოიყვირა გაფითრებულმა მამასახლისმა და შეშინებული თვალებით ახედა მასპინძელს.

- არა, მარტო ეგ არ კმარა; რასაც ჩვენ გეტყვით, ის უნდა აასრულო! - დაასწრო მასპინძელს ჯუჯა კაცმა.

- სწორეა, რასაც გეტყვით... იგი უნდა გაა-აკეთოოო! - გაიმეორა მასპინძელმა ჯუჯა კაცის სიტყვები და და თან მამასახლისს იუდა ისკარიოტელივით გადახედა წამოკუსული თვალებით.

- ბატონო აბელ! - მიუბრუნდა ეხლა მეორეს, - თქვენ უნდა განასახიეროთ ცინიზმის ერთი სცენა: მოედანზე, ყრილობის თავმჯდომარისა და მდივნის მაგიდაზე მოურიდებლად შემოჯდებით, ვითარცა ქორი ქანდარასა ზედა, ხალხისაკენ იზავ პირს და ფეხებს ჰაერში დაიწყებ ფეხების ქნევას! ამით ხალხს სასაცილოდ აიგდებთ.. ხოლო ხალხი ამას ვერ მიხვდება, სულელი მასა რას გაიგებს!! ოკეი?!

- ოოკეეი! ბატონო ბრძანდებით, ადვილი სამსახურია! - უპასუხა ჩახლეჩილი ხმით აბელმა და ქორივით მობრუცული თვალები სუფ-

რას მიავლო.

- ალავერდი შენთან! ჩასძახა მასპინძელმა მურადიუს მძლეთა-მძლეს და ვეებერთელა ყანწი მოხერხებულად ესროლა.

- ურრრრაააა, ურრრრაააა, ბრაავოოო, ბრავოოო! უცბათ აღმოხეთქა ომახიანმა ხმებმა მკერდებიდან.

- ურრააა, ბრაავოოო!-ყვიროდნენ მაზარი პატრიოტები და ერთმანეთს თავდავიწყებით ეხვეოდნენ!

ანჩარი.

::::::::::::::::::::::::::::::::::::

ღია წერილი

საქ.დამ.აღდ.ამერიკული საბჭოს ჩამჩეობას.

1953 წელს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღის 26 მაისის დღესასწაულზე, ჰოტელ „რუზველტში", ბატონმა არჩილ ვეველიამ, ყოველგვარ მიზეზის მიუცემლად, ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმის

[redacted] სახელს მიაყენა შეურაცყოფა: გვიწოდა ქათმის ქურდები, ესე იგი გაიმეორა ის, რასაც კომუნისტები გვიწოდებდნენ ბელადის სიცოცხლეში და მისი სიკვდილის შემდეგაც. რამდენად მართებულია ეს სიტყვები ჩვენი რაზმის მისამართით, ამის განსჯას მივანდობ ყველა რიგიან ქართველს, რომელსაც მამულიშვილური გრძნობა ასულდგმულებს.

მე მაშინ პასუხი არ გავეცი კვეზელიას, ჩვენი დიდებული დღესასწაულის 26 მაისის პატივისცემის გამო. მე მეგონა, რომ კვეზელია შეიგნებდა თავის დანაშაულს და შემდეგში, მის მიერ შეგინებულ რაზმის სახელს, თითონვე მოწმენდდა ლაფს, რომელიც მას შეასხა. სამწუხაროდ, საამისო პატივისცემა ქართულ საქმისათვის თავდადებულთადმი, მას არ აღმოაჩნდა. პირიქით; იგი წამდაუწუმ იმეორებს იმას, რაც 1953 წლის 26 მაისს წარმოსთქვა, და იმუქრება კიდეც, რომ შემდეგშიაც შემთხვევას არ გაუშვებს, საჯაროდ თუ კერძოდ, „ქურდების" სახელით არ მოიხსენიოს ჩვენი რაზმი. მე აქ, უცხოეთში, მოკლებული ვარ საშუალებას პასუხი მოვთხოვო მას, ვინც კადრულობს იმ ადამიანთა სახელის შეგინებას, რომლებმაც თავიანთი სიცოცხლე მსხვერპლად მიუტანეს საქართველოს განთავისუფლების საქმეს. მე პასუხის მოთხოვას ვინახავ იმ დროისათვის, როცა ჩვენი ქვეყანა იქნება თავისუფალი. იქ ჩვენ წარუდგებით ქართველი ხალხის მართლმსაჯულებას, სადაც ჩვენს რაზმს გამოუჩნდება დამცველები ქართველი ერის სახელით.

აქ, უცხოეთში კი, არავითარი საშუალება არ გამაჩნია ცილისმწამებლისათვის პასუხის მისაცემად, ვინაიდან მე არა ვარ დარწმუნებული იმაში, რომ კვეზელიას წარამარა წამოსროლილ ბრალდებებს ვინმე არ დაიჯერებს, განსაკუთრებით ახალი თაობიდან, ჩემი მიზეზით ჩირქი რომ არ მიეცხოს იმ მამულიშვილურ საქმეს, რომელსაც ჩვენი ორგანიზაცია აწარმოებს უცხოეთში, მთხოვთ გამანთავისუფლოთ როგორც გამგეობის შემადგენლობიდან, აგრეთვე ორგანიზაციის წევრობიდანაც.

პატივისცემით: არ. სურხანიშვილი.
ქ. ნიუ იორკი, 10 აგვისტო, 1954წ.

::::::::::::::::::::::::::::::::::

პასუხი

ბატონ არ. სურხანიშვილს.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ამერიკული საბჭოს გამგეობამ იმსჯელა თქვენს თხოვნაზე, რომლითაც თქვენ მიგვმართეთ ღია წერილის სახით ა.წ. 16 აპრილს და მოგახსენებთ შემდეგს: თქვენი რაზმის ბრძოლა, ისე როგორც სხვა რაზმებისა, რომლებიც საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის წარმოებდა, იყო წმიდათა წმიდა საქმე! ასე აღიარა იგი ქართველმა ერმა, კომუნისტების გამოკლებით, იქ, საქართველოში. ასე აღიარა იგი საქართველოს კანონიერმა მთავრობამ უცხოეთში და ქართულმა ემიგრაციამ. ყველა რაზმების ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის, რომელშიაც თქვენს რაზმს ეჭირა ერთი პირველი ადგილთაგანი, ჩვენი ერის თავისუფლებისათვის ბრძოლის ისტორიაში შევიდა; როგორც უდიდესი აქტი მამულიშვილური მოვალეობის აღსრულებისა სამშობლოს წინაშე. მათს სახელს ჩრდილს ვერ მიაყენებს ბატონი არჩილ კეკელია, როგორც ვერ მიაყენა ჩრდილი კომუნისტურმა რეჟიმმა ამ ოცდაცამეტი წლის განმავლობაში! არა გვგონია ჩვენს ემიგრაციაში მოიძებნებოდეს ისეთი ქართველი, რომელიც არჩილ კეკელიას მიერ თქვენი რაზმისადმი მიყენებული უსაფუძვლო ბრალდება დაიჯეროს! თქვენ დარჩებით ჩვენს რიგებში, როგორც საპატივცემული წევრი ჩვენი ორგანიზაციისა და მისი

XXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXX .

გამგეობისა. თქვენი ჩვენთან ყოფნა საამაყოა ჩვენთვის! უნდა იცოდეთ, რომ ჩვენი ორგანიზაცია დიდი მოწიწებით ეპყრობა ყველა იმათ, რომელთაც სამსახური გაუწიეს ჩვენს ერს! ჩვენმა ორგანიზაციამ მიმართა ქართული სათვისტომოს გამგეობის თავმჯდომარეს ბ-ნ ლეონ დუმბაძეს, რათა შემდეგში მაინც დაგიფარით ბატონ კეკელიას შეურაცმყოფელი შეტევებისაგან. მიმართვას ბატონ ლ. დუმბაძისადმი ვაქვეყნებთ აქვე.. .,ინგლბიბ

მამულიშვილური პატივისცემით
საქ.დამ.აღდგ.ამერიკული საბჭოს გამგეობა.

:::::::::::::::::::

....

ქართული სათვისტომოს გამგეობის თავმჯდომარეს
ბ.ლ. დუმბაძეს ქ.ნიუ იორკში.

ძვირფასო ბატონო ლევან!

როგორც თქვენთვის ცნობილია, 1953 წლის 26 მაისს, თქვენს თვალწინ, ბატონმა კეკელიამ მიაყენა დაუმსახურებელი შეურაცყოფა ბატონ ალექსანდრე სულხანიშვილს, უკედ, ქაქუცა ჩოლოყაშვილის პარტიზანულ რაზმს. უწოდა მათ ქათმის ქურდები. შეიძლება თქვენ არ იცოდეთ, რადგან არ გიცხოვრიათ საქართველოში, ვინ იყო ქაქუცა ჩოლოყაშვილი და რა მიზნისათვის იბრძოდა მისი რაზმი და მისი ერთერთი თანაშემწე და მარჯვენა ხელი ბატონი ალ. სულხანიშვილი. მაგრამ ეს იცის მთელმა ქართველმა ერმა, საქართველოს კანონიერმა მთავრობამ უცხოეთში და მთელმა ქართულმა ემიგრაციამ, რომელთაც ამ რაზმის ბელადს, ქ. ჩოლოყაშვილს მიაკუთვნა ეროვნული გმირის სახელი. რაზმის წევრების უმრავლესობა აღარ არიან ცოცხალნი. ყოველი ქართველის მამულიშვილური მოვალეობაა პატივისცემით მოეპყრას გმირთა სახელებს და დაიცვას ისინი უსაფუძვლო შეურაცყოფისაგან, მით უმეტეს მიცვალებულთა სახელები, რომლებიც მოკლებულნი არიან თავის თავის დაცვის საშუალებას. თუ ასე არ მოხდა., თუ მისი ამაში ტალახში იქნება ამოსვრილი, საჭიროების დროს ვინღა გაიმეტებს თავს სამშობლოსათვის?! ჩვენ გვწამდა, რომ თქვენ, როგორც ქართული სათვისტომოს თავმჯდომარე პასუხს მოთხოვდით ბატონ კეკელიას გმირთა სახელების შეურაცყოფისათვის და აუკრძალავდით მას შემდეგისათვის მაინც შეეკავებინა თავი. გამოდის კორიქით, როგორც ბატონ სულხანიშვილის განცხადებიდან ჩანს

და ბევრი სხვებიც არიან მოწმეებიც, ბატონი კეკელია იმუქრება, რომ „ქურდების" სახელწოდებას არ მიუშლის ბატონ სულხანიშვილის რაზმს. მოგახსენებთ, რომ ასეთი მოქმედება არ შეეფერება ქართულ ეთიკას და ქართულ ღირსებას. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ამერიკული საბჭოს გამგეობა შუამდგომლობს თქვენთან, რათა დაავალდებულოთ ბატონი კეკელია - თავი შეიკავოს გმირთა სახელების ცუდად ხსენებისაგან. კერძოდ კი, ბატონ სულხანიშვილის მიმართ თუ აქვს რაიმე დამამტკიცებელი საბუთი, რომ ის ეწეოდა ძარცვა-გლეჯას, წარმოადგინოს.

პატივისცემით - საქ.დამ.აღდ.
ამერ.საბჭოს გამგეობა.

::::::::::::::::::::

....

ვალოდია გიგუძე
(ნეკროლოგის მაგიერ)

ტრაგედია „ვილჰელმ ტელი", ერთი უდიდესი ნაწარმოებია ფრიდრიხ შილერის შემოქმედებაში. შეიძლება ყველაზე უკეთესიც - რაც გენიალურ მხატვარს შეუქმნია თავის სიცოცხლეში. შვეიცარიის გერმანულ

XXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXX

კანტონის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის მთავარი გმირი ვილჰელმ ტელია, რომლის სახელსაც ატარებს თვით ტრაგედია. „ტელი“ - ქართული გაგებით გიჟმაჟი,თავზე ხელაღებული,ერთი იმათთაგანი, „ვის სიკვდილი მოყვრისათვის,თამაშად და უჩანს მღერად“. ვილჰელმ ტელი ლეგენდარული სურათია და არსებობდა ნამდვილად გამბედავი მშვილდოსანი,ვილჰელმის სახით თუ არა,არავინ იცის. მაგრამ ჩვენ კი გვყავდა ნამდვილი ტელი დამოუკიდებლობის დღეებში,ხორცშესხმული სინამდვილე - ვალოდია გოგუაძე,რომელმაც ძლიერ ბევრი გააკეთა ჩვენი ქვეყნისათვის და რომელიც ამ ცოტა ხნის წინად დავასაფლავეთ. ვ.გოგუაძეს მოყვრისათვის სიკვდილი ,ლხენად მიაჩნდა და ეს მოყვარე იყო საქართველო და ქართველი ერი. მას,ბევრჯერ დაუდევს სიცოცხლე სასწორზე,სამშობლოს კეთილდღეობისათვის,ბევრჯერ შებმია პირისპირ სიკვდილს და თუ ცოცხალი გამოსულა,ეს მხოლოდ ბედის წყალობით და იმით,რომ საბედისწერო ჟამს საფრთხეს ზურგს არ აქცევდა! იგი,რომელიც ძლიერ უფრთხილდება საკუთარ სიცოცხლეს,საგმირო საქმისათვის არ არის მოწოდებული. იფიქრებდა იგი, ოდესმე რომ ცოცხალი გადურჩებოდა მეფის ოხრანკას,რომელიც გაფაციცებით ეძებდა მის გუშინდელ უნტერ-ოფიცერს რევოლუციონური მოღვაწეობისათვის,იმ ხელისუფლების წინააღმდეგ,რომელმაც ოთხი,გიორგის ჯვარი ჩამოკიდა გულზე? იფიქრებდა იგი,გადაურჩებოდა ცოცხალი ქურდ-ბაცაცებს,რომელთაც დაუნდობლად ებრძოდა ქვრივ-ობოლთა შეწუხებისათვის? იფიქრებდა იგი, რომ ცოცხალი გამოვიდოდა იმ ბრძოლიდან თურქის ლაშქარი რომ მოუშვა ხელჩართულ ბრძოლის მანძილზე ჩოლოქთან 1918 წელს? ჩოლოქთან ბრძოლა ეს იყო გმირობის უბადლო ეპიზოდი: ჯერ კიდევ სიმშვიდე,შემდეგ - მოულოდნელი ცეცხლი და მტრის გვამებით მოფენილი ველი! საბრძოლო ისტორიაში ხშირად მოხდება ხოლმე,რომ ფრონტის სარდალი ერთ მცირე ჯგუფს ადამიანებისას გამოიმეტებს დიდ ამოცანათა შესასრულებლად. იქ მაშინ ხელქვეითი ავტომატიურად ემორჩილება თავის უფროსს. ეს მორჩილებაც ზოგჯერ ვერ ამართლებს დანიშნულებას და გასაწირავად გამომეტებული ჯგუფი ან ხელში ეძლევა მტერს თოფ-გაუსროლელი ,ან პირველ შეტევისთანავე გარბის უგზოუკვლოდ.იქ არც პირადი ინიციატივა ჩანს,არც მოვალეობის გრძნობა. აი გავიხსენებთ 1917 წელს,თებერვლის რევოლუციის შემდეგ,როცა დისციპლინაც გაქრა და წესრიგიც,სურათი ადვილი წარმოსადგენი იქნება.სამშობლოს გადარჩენა მტრის ხელიდან,მხოლოდ სიყვარულზე და ინიციატივაზე იყო დამყარებული. იმ ინიციატორთა შორის,რომლებმაც მაშინ ჩვენი ქვეყანა იხსნეს,ვ.გოგუაძესაც უჭირავს დიდი ადგილი. მე სიტყვას არ გავაგრძელებ თავგანწირული ბრძოლების სხვა ეპიზოდებზე,რომელიც მიცვალებულს გადახდენია ჩვენი დამოუკიდებლობის დღეებში,საქართველოს სუვერენობისათვის. ზემოთქმულიც კმარა იმისათვის,რომ მადლიერმა ერმა ღირსეული ადგილი

მისცეს თავის წიაღში თავის შვილს.

ვალოდია მიგუაძე ხალხის შვილია, ხალხის წიაღიდან გამოსული, მისი ხორცი ხრცთაგანი და სისხლი სისხლი სისხლთაგანი. ეს ის წიაღია, რომელმაც ჯანსაღი ძუძუ აწოვა საქართველოს არსებობას საუკუნეების მანძილზე. რომელსაც არც ერთხელ არ უღალატნია თავისი მოვალეობისათვის, რომელიც იმის ღირს ხმალს იქნევდა, მშვიდობიანობის ღირს თოხსა და ნამგალს; რომელიც პირველ რიგში ქვეყანას არჩენდა და მეორე რიგში - თავის ოჯახს. ეს ის წიაღია, რომლის გული ვერც აღმოსავლებმა მოინადირა, ვერც სამხრეთმა, ვერც ჩრდილოეთმა; რომელმაც ენაც შეინახა, ზნეც, ადათიც და სამშობლოც, და რომელზეც დიდმა აკაკიმ ბრძანა: „თუ რამე არის ჩემში კარგი, ეს იმიტომ რომ პატარაობისას მე გლეხის ოჯახში ვიზრდებოდი“-ო. საქართველოს ისტორიამ ამ წიაღს დააკისრა დიდი მოვალეობა და მადლობა ღმერთს; ამ მოვალეობის ღირსეული აღმასრულებლები იყვნენ, არიან და იქნებიან!

როცა ბრძოლის საათმა დაჰკრა, როცა უფლება აყრილმა მილიონებმა იარაღს მიჰყო ხელი, როცა მცირერიცხოვან ერის შვილებმა თავისი ადგილი მოითხოვეს ამ ცის ქვეშეთში, ვ. გიგუაძე აბობოქრებულ ტალღას გაჰყვა და რევოლუციის ოკეანეში შეცურდა. მაშინდელი მისი თანამებრძოლი, ბრძოლის თანაბარ საფეხურზე მდგომი ანდრია ვიშინსკი, ეხლახან გარდაცვალებული, მსოფლიოს ყოველ კუთხეში გაიცნეს. უსამართლობის გზაზე დადგომამ ვიშინსკი დიდების მწვერვალზე შეასკუპა. ვ. გიგუაძე კი შეუმჩნეველი მოჰკვდა უცხო მიწაზე. რა იყო მიზეზი? ის რომ სოციალ-დემოკრატია და კომუნიზმი ერთი და იგივე არ არის! ერთი მოწოდებულია ამ ქვეყნად უსამართლობის აღმოსაფხვრელად, მაშვრალთა ტვირთის შესამსუბუქებლად დემოკრატიულ პრინციპზე. მეორე - მხოლოდ ძალმომრეობისა და ყოველგვარი სიკეთის წასაბილწავად. მათი გზები ადრევე გაიყარნენ ისე, რომ არასოდეს არ შეერთდებიან! ცნობილია ვ. გიგუაძის სიტყვები: „ ხალხის მტრებისათვის მე ტყვია მაქვს შესახვედრად“-ო, რომელიც მან ვიშინსკის შეუთვალა, როცა ამ უკანასკნელმა პარიზში მასთან შეხვედრა მოიწადინა. ვ. გიგუაძემ სანაქებო ოჯახი შექმნა ლტოლვილებაში. შექმნა სანაქებო ოჯახი არა სიმდიდრით, არამედ გულუხვი სტუმართმოყვარეობით, ქართული ეთიკით, რომლის კარი ღია იყო ყველა გამვლელ-გამომვლელისათვის, იდეათა და წოდებათა განურჩევლად. ოჯახის შექმნა მხოლოდ მას შეუძლია, ვისაც თავისი ერი უყვარს. სადაც ოჯახი ძლიერია, იქ სახელმწიფოც მდიდარია. სახელმწიფო არის ოჯახი და ოჯახი - სახელმწიფო. ეს ცნება მხედველობაში არ უნდა გამორჩეთ ყველა იმათ, ვინც პოლიტიკურ საქმეს ეპოტინება. სულმნათმა ილიამ იცოდა ოჯახის ფასი. ბისმარკსაც ესმოდა ოჯახის მნიშვნელობა და მიტომაც შექმნა ევროპაში სანიმუშო სახელმწიფო. გულუხვი სუფრა თვით ქრისტე-ღმერთმა აკურთხა და უკვდავი რუსთაველიც ხომ იმას დამღერის და დაგალობს...

მაგრამ, პურსა და მარილს მაშინ აქვს ფასი, მაშინ არის გემრიელი, თუ იგი რაიმე პირად ანგარიშზე არ არის დამყარებული და პატრონი ყოველ წვეთს მის მიერ ჩამოსხმულ ოფლიდან, თითო ლიტრის საფასო მიგებას არ მოელის. მით უფრო მოიყვანო ერთი პიროვნების, სოციალ-დემოკრატიული იდეოლოგიის დიდი მოწინააღმდეგის, სიტყვები: „ვ. გიგუაძის ოჯახში რომ შეხვიდოდი, დაგახრჩობდნენ პურმარილით. „თქვენი ჭირიმე, იტყოდა მისი მეუღლე, პოლიტიკაზე ლაპარაკს ნუ ჩამოაგდებთ, მიილხინეთ და დრო გაატარეთ“. ღმერთმა დაგილოცოს სინიდისი და პატიოსნება ქალბატონო ნამეტია, ჩვენ იმისთანა დღეები გვჭირდება, რომლებიც მამაკაცთა შორის გარღვეულ მთლიანობას, თაფლივით გაკერავს. ასეთი დღეებით ვამაყობთ ჩვენ, მთელი ჩვენი ხანგრძლივი ისტორიის გასწვრივ!

ბრძოლის ბრძოლა,იარაღით ხელში! როცა ბრძოლის ყიჟინა მიყუჩდებულია,კალმოსანი შრომა და მუდამჟამს ღია ოჯახის კარი მოყვასისათვის. ასეთი იყო ცხოვრება ამ სახელოვანი ქართველის,ვ.გობუაძისა, მთელი მისი სიცოცხლის მანძილზე. აქ,უცხოეთში, ვერ მიეკუთნა მას მისი ღირსებისათვის შესაფერი სახელი,მაგრამ იქ,დედა სამშობლოში,მიცვალებულს ათასობით ყავს დამფასებლები,თუმცა რეჟიმის მიერ პირაკრულთ ჯერ ამის თქმა არ ძალუძთ. გამოუჩნდება მას მწერალიც,და თუ ფრიდრიხ შილერმა ლეგენდარული,შეიძლება არ არსებულიც,ვილჰელმ ტელი უკვდავყო მარტო იმისათვის,რომ კისნახტის გზაზე გესლერი მოკლა,- ქართველ მწერალს ხორცშესხმული სინამდვილე ეყოლება ვ.გობუაძის სახით,მოთხრობის თუ პოემის,,დრამისა თუ ტრაგედიის დასაწერად. რომელიც ამ გმირის ბრძოლის ეპიზოდებს ძალზე მძივებივით ააცვავს და ისე გადასცემს მომავალ თაობას. მომავალი თაობა კი დიდის გულმოდგინებითა და სიყვარულით წაიკითხავს მას,თანაც გულწრფელ ცხონებას შეუთვლის თავის ერთგულ წინაპარს!

დადი არველაძე.

:::::::::::::::::::::::::::::::::

XXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXX

ალექსნდრე კაკუაშვილს
ხსოვნას.

(ნიშნად უღრმესი თანაგრძნობისა ქალბატონ ლიდია კაკუაშვილისას).

ჩვენი გაცნობა მეტად კურიოზულ ფორმებში მოხდა, და ეს კურიოზები, შემდეგშიაც თან დაყვა ჩვენს მეგობრობას. ქართველი ერი გულის სიღრმეში ხარობდა, ჯოჯოხეთის მოციქულის, ვლადიმერ ულიანოვის თვალები ახალი დახუჭული იყო. უცხოეთში გადმოსახვეწად გზების მოსასინჯავად ბათუმისაკენ მივემგზავრებოდი. მთელი გზა, რიგიც ქართველთა წესია, უცხო მგზავრთან მუსაიფში გავატარე. მეორე დღეს, ბათუმის რკინისგზის სადგურზე ერთი კაცი მომიახლოვდა, მხარზე მომხვია ხელი, ვით დიდი ხნის ნაცნობმა, გამიცინა და მკითხა: „ვინ მიცანით?". სახტად დავრჩი.. ვერც „კი" უპასუხე, ვერც „არა": ვერ აღვადგინე მეხსიერებაში მისი სახე, თუ ხმა. ნაცნობი კი მეჩვენა. უხერხულება რომ შემატყო თითონვე გამომიყვანა მდგომარეობიდან. „არ გახსოვარ? გუშინ ერთად ვიმგზავრეთ მატარებლით, ალ. კაკუაშვილი გახლავარ. გონს მოვედი. რიონის სადგურზე, ერთი მეტად სასიამოვნო ქართველი შემოგვემატა. ჩვენი ნაცნობობა ქართულ სუფრაზე უფრო განმტკიცდა! მალე ისიც რუსეთისაკენ გაემგზავრა, მე უკანვე გამოვბრუნდი ლეჩხუმისაკენ, სამგზავროდ მესმზადებლად. რამოდენიმე თვის შემდეგ არალეგალურად დავტოვე ჩემი ტურფა ქვეყანა, შეიძლება სამუდამოდაც, და უცხოეთში წამოველი. საფრანგეთში ვცხოვრობდი. ერთხელ ქართულ ლეგაციაში შევიარე, პარიზში, - ორიოდე წელიწადი იყო გასული იმ დღიდან, რაც ჩემი და კაკუაშვილის გაცნობა მოხდა ბათუმში. ლეგაციის მდივანმა, ბატონმა კოკაიამ ორი მოწმე მომთხოვა თავდებად, რადგან პასპორტი უნდა მიმეღო. მივიხედმოვიხედე, მინდოდა იქ მყოფი ქართველებისათვის მეთხოვა მოწმედ დამდგომოდნენ. ამ დროს ერთი ქართველი წამოდგა, მიუახლოვდა კოკაიას და უთხრა: „ მაგას თუ არ მისცემთ პასპორტს, მაშ სხვას ვიღას უნდა მისცეთ", მერე ჩემსკენ წამოვიდა და გრძნობით გადამეხვია: ალექსანდრე კაკუაშვილი იდგა ჩემს წინ! გავიდა კიდევ კიდევ რამოდენიმე წელიწადი, უკვე ნიუ იორკის მცხოვრები ვიყავი. ერთ დღეს ჩემს სახელოსნოში შემოვიდა ქართველი მანდილოსანი და მითხრა: „თქვენ იცნობთ ჩემს ქმარს, მას ზოგი რამ დახმარება ესაჭიროება ამერიკაში შემოსასვლელ ფორმალობისათვის, ალ.

პაპუაშვილის მეუღლე გახლავართ“.- ესეც მესამე კურიოზი. დიდად გავიხარე ,რა თქმა უნდა, საჭირო დახმარება მაშინვე აღმოუჩინე და ალექსანდრე ჩამოვიდა ნიუ იორკში. მატარებელში შემთხვევით გაცნობილები,ჩვენ განუყრელ მეგობრებად გადავიქეცით. ალ.პაპუაშვილი იყო სპეტაკი გრძნობის ადამიანი,მხურვალე მამულიშვილი, დიდი პატრიოტი.მასთან მეგობრობა ბედნიერება იყო ყველა იმისათვის,ვისაც თავისი ქვეყანა,საქართველო უყვარს. რამდენი დავა იყო ჩართული ჩვენს ხანგრძლივ საუბრებში,დავა,გამოწვეული ურთიერთ პატივისცემით და ქართული საქმის სიყვარულით გამოწვეული! მდგომარეობამ დაგვაშორა,იგი აქედან შორს წავიდა საცხოვრებლად, მაგრამ სულიერი კავშირი ჩვენს შორის არ გაწყვეტილა. ბედნიერი ვიქნებოდი,კიდევ ერთი კურიოზის წყალობით უკანასკნელად მაინც მენახა იგი... საუკუნო ხსოვნა მის სახელს! კაი ქართველი გამოგვეცალა ხელიდან...

ნესტორ ალავიძე.

::::::::::::::::::::::::

::::::::::::::::::::::

....

სამგლოვიარო.

ჩვენს თანამემამულეს, ბატონ კოტე იმნაძეს დიდი უბედურება დაატყდა თავს: ა.წ. 15 ოქტომბერს გარდაიცვალა საყვარელი მეუღლე, მისი ჭირისა და ლხინის მოზიარე, ქალბატონი ლიუცია. იქ, სადაც ცოლსა და ქმარს შორის ურთიერთერგულების ეთიკა მაღალ წერტილზეა ასული, ერთი მათგანის გამოკლება ცოცხლად დარჩენილისათვის, ყოველთვის სიხარულის სამუდამოდ გამოთხოვებას უდრის. კოტესა და ლიუცას ცოლქმრული უღლის წევა იყო სანიმუშო და ადვილად წარმოსადგენია ყველასათვის, თუ რა მწუხარებაში ჩავარდა ჩვენი თანამემამულე, რომელმაც სამშობლოც დაკარგა და თავის ტომიც დიდი ხანია.

ქალბატონ ლიუცას კარგად იცნობდა ქართველობა პოლონეთში. მისი გულღია ხასიათი, სტუმართმოყვარეობა ბევრ ქართველს გაუცდია და ბევრი დამტკბარა მისი ოჯახით. დადებული ზნისათვის მას არც სამშობლოს გარედ ულალატნია. იტალიაში, ქალაქ ბარის ახლოს, ომის დამთავრების შემდეგ, პოლონელთა ბანაკში, სადაც ქალბატონი ლიუცა ასრულებდა ერთგვარ სამსახურს, არა ერთსა და ორ ქართველისათვის გაუწოდებია მას დაძმური ხელი, იმ დროს, როცა დღიური ლუკმაპურის შოვნა იყო დიდი პრობლემა, განსაკუთრებით ჩვენთვის, რომელთაც დიდი ხანია არ გაგვაჩნდა პატრონი და მზრუნველი. იგი იყო გამამხნევებელი იმ ტრადიციებისა, რომელიც დიდი ხანია არსებობს პოლონეთსა და საქართველოს შორის. მეორე სამშობლოდ მას საქართველო ესახებოდა, ისიც ჩვენსავით ნატრობდა თავისუფალ საქართველოს ხილვას და იქ სიცოცხლესა და სულის დალევას. მწარე ბედმა არ აუსრულა მას ეს სურვილი. საქართველოს ხილვის ნაცვლად ინგლისის მიწამ 20 ოქტომბერს მიიბარა ჩვენი მოამაგე პოლონეთის ერის შვილი, ჩვენი რძალი და მოამაგე ქალბატონი ლიცა იმნაძე. დასაფლავებას დაესწრო მრავალრიცხოვანი საზოგადოება - ქართველნი და პოლონელნი. ჭირისუფალმა მიიღო მრავალი სამგლოვიარო ტელეგრამა და წერილი. დამსწრეთა შორის იყვნენ: პოლონური გიმნაზიის დირექტორი ქალბატონი ფელინსკა, პოლონეთის ყოფილი წარმომადგენელი რუმინეთში, ბატონი სადერსკი, მინისტრი სვიტარსკი და სხვანი. ყოფილმა პრემიერმა, გენერალმა სლავოი სლადკოვსკიმ შემდეგი შინაარსის წერილი გამოუგზავნა განსვენებულის მეუღლეს:

„დიდად პატივცემული ბატონი მაიორი! თქვენთან ერთად უღრმეს მწუხარებას განვიცდით ქ-ნ მაიორის ასე უდროოდ გარდაცვალების გამო. მიიღეთ ჩვენი უგულითადესი თანაგრძნობა. იმედი მაქვს, თუმცა დაშორებული, მაგრამ არა განმარტოებული, დარჩებით მჭიდრო კავშირში პოლონელ გადმოხვეწილებთან, მათთან და პოლონეთთან თქვენ და თქვენს წარმტაც მებრძოლ სამშობლოს, გაკავშირებთ ძვირფასი ნასკვი, კავშირი, დადებული შორსმჭვრეტელი, დიდი მოაზროვნის მარშალ პილსუდსკის მიერ. მხედრული სალამით მარად გართმევთ ხელს თქვენი სლავოი სლადკოვსკი“.

ჩვენი თანამემამულის მწუხარებას ჩვენც ვიყოფთ. შეაძლებინოს

ღმერთმა მას ამ დანაკარგის გადატანა.

დალი არველაძე.

::::::::::::::::::::::::

განცხადება:

ქაცვია მწყემსის „მოთქმა"-ში, არსად არ არის ნაგულისხმევი არც ბატონი მიხ.დადიანი და არც პავლე რომანიშვილი. ვბეჭდავთ ამას წერილის ავტორის თხოვნით, რომ ვინმემ პროვოკაციის მიზნით არ ისარგებლოს და ქარაზმა თავისი პირადი მიზნებისათვის გამოსაყენებლად არ გახსნას.(რედ).

XXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXX

რედაქტორი: ექ.გ.კობახიძე.

XXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXX

მასალები კრებულისათვის უნდა გადმომგზავნის შემდეგი მისამართით:

15-1377